

# საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბრძანება №2-101

2011 წლის 4 ივნისი

ქ. თბილისი

## ვეტერინარულ-სანიტარიული უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ

„ვეტერინარის შესახებ“ საქართველოს კანონის 32<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ვძრძანებ:

1. დამტკიცდეს თანდართული ვეტერინარულ-სანიტარიული უსაფრთხოების წესები.
2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

### ბ. კვეზერელი

## ვეტერინარულ-სანიტარიული უსაფრთხოების წესები

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ეს წესები ადგენს მოთხოვნებს ვეტერინარულ-სანიტარიული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ცხოველების სახორცედ დაკვლისას მათი რეალიზაციის მიზნით, ასევე, ცხოველების, მეცხოველეობის ნედლეულისა და პროდუქტების დამზადების, შენახვის, გადამუშავების, გადაზიდვისა და რეალიზაციის დროს.

### მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. ვეტერინარულ-სანიტარიული ზედამხედველობა – სახელმწიფო ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ ობიექტებზე მუდმივი მეთვალყურეობა, რომელიც უზრუნველყოფს დასენიანებული ცხოველების გადაყვანის, ვეტერინარული თვალსაზრისით არაკეთილსაიმედო მეცხოველეობის პროდუქციის დამზადების, გადამუშავების, შენახვის, გადაზიდვისა და რეალიზაციის აღკვეთას.

2. ვეტერინარულ-სანიტარიული ონისძიებები – სახელმწიფო ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ ობიექტებსა და გარემოში გადამდები სწეულებების აღმძვრელისა და მათი გადამტანების სალიკვადაციო ღონისძიებათა ერთობლიობა.

3. ეპიზოოტია – გადამდები სწეულებებით ერთდროულად მრავალი ცხოველის დასენიანება განსაზღვრულ ტერიტორიაზე, დროის გარკვეულ მონაკვეთში.

4. სადგომი – ცხოველთა ფიზიკური ადგილსამყოფელი, მათ შორის ფერმერული, საოჯახო მეურნეობა და ტერიტორია (შენობა-ნაგებობა, ცხოველების სავაჭრო ბაზარი, საკარანტინო ტერიტორია და ა.შ.).

5. ცხოველური წარმოშობის პროდუქცია – ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, რომლებიც განკუთვნილია ადამიანის და ცხოველთა საკვებად, აგრეთვე ფარმაცევტული და სამრეწველო მიზნებისათვის.

6. ცხოველთა საკვები – ნებისმიერი ნივთიერება ან პროდუქტი საკვებდანამატების ჩათვლით, გადამუშავებული ან გადაუმუშავებელი, რომელიც გამიზნულია ცხოველის საკვებად.

7. უფლებამოსილი ორგანო – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული საგენტო.

8. ვეტერინარული შემოწმება – ცხოველების დაკვლის წინა შემოწმება და ცხოველური წარმოშობის პროდუქციის ვეტერინარულ-სანიტარიული ექსპერტიზა მათი კეთილსაიმედობის დადგენის მიზნით.

9. დადამღვა – ვეტერინარული დამღის ანაბეჭდის დადება ტანხორცზე, ნახევარტანხორცზე, მეოთხედზე, ლივერზე და დაკვლის სხვა პროდუქტებზე მათი ვეტერინარულ-სანიტარიული შემოწმების ჩატარების შემდეგ.

10. მეცხოველეობის ნედლეული – ცხოველური წარმოშობის პროდუქცია, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ სამოყენებისათვის.

11. დეზინფექცია – ცხოველების ინფექციური და პარაზიტული დაავადებების აღმძვრელების განადგურება.

12. გაუვნებლობა – ცხოველური წარმოშობის პროდუქციის სანიტარიულ-ტექნიკური დამუშავება (მოხარული, დამარილება, გაყინვა და ა.შ.), რაც უზრუნველყოფს მათ უცნებლობას ადამიანისა და ცხოველებისათვის.

13. იძულებითი დაკვლა – დაავადებული ან დაავადებაზე საეჭვო ცხოველის დაკვლა ვეტერინარი სპეციალისტის ზედამხედველობის ქვეშ.

14. სუბპროდუქტი – საკლავი ცხოველის ტანხორცის ნაწილები (ტრემინგი) და შინაგანი ორგანოები.

15. ტანხორცი (ფეშო) – ხორცი ძვლებით, რომელიც მიიღება ცხოველის დაკვლისას გატყავების, შინაგანი ორგანოების ამოღების, თავისა და ფეხების მოცილების შემდეგ. ღორის ტანხორცი შეიძლება იყოს ტყავით, თავით და ფეხებით.

16. კონფისკატი – ცხოველის დაკვლის შემდგომი პროდუქტი, რომელის გამოყენება სურსათად /ცხოველის საკვებად დაუშვებელია.

17. განადგურება – ცხოველების ლეშებისა და კონფისკატების დაწვა ან ბიოთერმულ ორმოებში დამარხვა.

18. უტილიზაცია – ცხოველების ლეშებისა და ვეტერინარული კონფისკატების გადამუშავება უვნებელ ტექნიკურ და საკვებ პროდუქტებად.

19. ზოონოზური სნეულებები – ისეთი ინფექციური და ინვაზიური სნეულებები, რომლებიც ცხოველებს ცხოველებიდან გადაეცემა.

### **მუხლი 3. მოთხოვნები ცხოველთა (ფრინველთა) სადგომებისადმი**

ცხოველების (ფრინველების) სადგომში დაცული უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნები:

ა) განხორციელდეს ვეტერინარული ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ეპიზოოტიურ კეთილსაიმედობას;

ბ) დაუშვებელია სადგომის დაბინძურება საწარმოო და ბიოლოგიური ნარჩენებით;

გ) დაუშვებელია ვეტერინარული შემოწმების გარეშე სადგომში ცხოველების (ფრინველის) შეყვანა-გაყვანა;

დ) სავალდებულოა უფლებამოსილი ორგანოს მითითებების შესრულება გადამდები სნეულებების პროფილაქტიკისა და ლიკვიდაციის მიზნით;

ე) ცხოველის (ფრინველის) მასიური დაცემის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს;

ვ) უზრუნველყოფილ იქნეს დაავადებული ან დაავადებაზე საეჭვო ცხოველების იზოლირება;

ზ) უზრუნველყოფილ იქნეს ცხოველთა მოვლა-შენახვის ზოოპიგიენური პირობები.

### **მუხლი 4. მოთხოვნები ცხოველური წარმოშობის პროდუქციის დამზადებისა და გადამუშავებისას**

1. ცხოველისა და ფრინველის სახორცედ დაკვლა მათი რეალიზაციის მიზნით დაიშვება მხოლოდ საწარმოში (სასაკლაოზე) უფლებამოსილი ორგანოს ვეტერინარულ-სანიტარიული ზედამხედველობის ქვეშ.

2. მუნიციპალიტეტში ასეთი საწარმოს არარსებობის შემთხვევაში ცხოველისა და ფრინველის სახორცედ დაკვლა მათი რეალიზაციის მიზნით დაიშვება უფლებამოსილი ორგანოს თანხმობით და მისი უშუალო ვეტერინარულ-სანიტარიული ზედამხედველობის ქვეშ.

3. არ დაიშვება ხორცისა და სუბპროდუქტების რეალიზაცია, რომელთაც არ გაუვლია ვეტერინარული შემოწმება.

4. სახორცედ დასაკლავად დაიშვება ჯანმრთელი ცხოველი (ფრინველი).

5. ავადმყოფი ან გადამდებ სნეულებებზე საეჭვო, აგრეთვე საფრთხის ქვეშ მყოფი (ტრავმები, დამწვრობებები, რადიაქტიური დასხივება, მოტეხილობები და სხვა) ცხოველის დაკვლა დასაშვებია მხოლოდ უფლებამოსილი ორგანოს უფლებამოსილი პირის ნებართვით.

6. დაუშვებელია ცხოველის/ფრინველის სახორცედ დაკვლა:

ა) ჯილებით (ციმბირული წყლულით), ემფიზემური კარბუნკულით, მსხვილფეხა პირუტყვის ჭირით, ღრუბლისებური ენცეფალოპათიით, აქლემის ჭირით, ცოფით, გაშეშებით, ავთვისებიანი შეშუპებით, ბრადზოტით, ენტეროტოქსემიით, ცხვრის სკრეპით, ცხვრის კატარული ცხელებით (ბლუტანგით), ღორების აფრიკული ჭირით, ტულარემიით, ბოტულიზმით, ქოთაოთი, ეპიზოოტიური ლიმფანგოიტით, ერთჩლიქიანების აფრიკული ჭირით, მელიოიდოზით (ცრუ ცოფით), ბოცვრების მიქსომატოზითა და ჰემორაგიული დაავადებით, ფრინველის გრიპით, ორნითოზითა და ნიუკასლის დაავადებით, წვრილ მცოხნავთა ჭირით, რიფტის ველის ცხელებით, ჰიდროპერიკარდიტით, თხის ართრიტ-ენცეფალიტით, ცხენების კონტაგიოზური მეტრიტით, ცხენების დაგრილების დაავადებითა და ვირუსული ართრიტით, ცხენების ვენესუელური ენცეფალომიელიტით, იაპონური ენცეფალიტით, თურქულით (დაავადების პირველი შემთხვევებისას კეთილსაიმედო ადგილებში) დაავადების ან დაავადებაზე ეჭვის შემთხვევაში;

ბ) აგონიის მდგომარეობაში;

გ) ჯილების (ციმბირული წყლულის) საწინააღმდეგო შრატით ნამცურნალევი და ვაქცინირებული ცხოველის – შესაბამისი ვეტერინარული პრეპარატის ინსტრუქციაში მითითებული ვადის გასვლამდე;

დ) 14 დღეზე ნაკლები ასაკის ცხოველის;

ე) კენტჩლიქიანების (ცხენი, ვირი, ჯორი და სხვა), რომელთაც არ ჩატარებიათ მალეინიზაცია;

ვ) ცხოველი, რომელსაც ჩაუტარდა ანტიბიოტიკებით, ანტიჰელმინთური საშუალებებით ან სხვა ვეტერინარულ პრეპარატებით მკურნალობა ან/და პროფილაქტიკა ვეტერინალური პრეპარატის ინსტრუქციით გათვალისწინებული ვადის გასვლამდე:

ზ) პესტიციდებით დამუშავებული ცხოველის, იმ ვადის გასვლამდე, რომელიც მითითებულია პესტიციდის გამოყენების ინსტრუქციაში;

თ) ცხოველის, რომელსაც შეყვანილი ჰქონდათ ჰორმონალური ვეტერინარული პრეპარატები ორგანიზმიდან მათ სრულად გამოდევნამდე;

ი) ფრინველის, რომელსაც აღენიშნება შემდეგი სიმპტომები: აბურძგნული ბუმბული, ბიბილოს, თავის სინუსებისა და სახსრების შესივება, გამონადენი ცხვირიდან, თვალებიდან, პირიდან, ფალარათი, გამონაყარი ბიბილოსა და საყურეებზე. ასეთ ფრინველს კლავენ და გადაამუშავებენ იმ მეურნეობაში, სადაც ისინი გამოზარდეს.

7. ცხოველები სასაკლაოზე დასაკლავად დაიშვება უფლებამოსილი ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული ვეტერინარული მოწმობის თანხლებით.

8. დასაკლავად შესული ცხოველების გაყვანა/გატანა საწარმოს ტერიტორიიდან დაიშვება უფლებამოსილი ორგანოს უფლებამოსილი პირის თანხმობით.

9. დაუშვებელია ხანძრის, სატრანსპორტო ავარიებისას დაღუპული, ელვით, ელექტროდენით მოკლული, გაყინული, დამხრჩვალი და გაგუდული ცხოველის ხორცის გამოყენება სურსათად/ცხოველის საკვებად.

10. ტანხორცის გამოშიგვნა უნდა დასრულდეს არა უგვიანეს 45 წუთისა ცხოველის გაბრუებიდან და არა უგვიანეს 30 წუთისა მათი სისხლგართმევის შემდეგ.

11. დაუშვებელია კონფისკატების კონტაქტი სურსათან ან სასურსათო ნედლეულთან.

12. სურსათში/ცხოველის საკვებში და ფარმაცევტული მიზნებისათვის დასაშვებია მხოლოდ ჯანმრთელი ცხოველიდან მიღებული ფერმენტული ნედლეულისა და სისხლის გამოყენება.

13. დაუშვებელია ფრინველის გაუმოუშიგნავი ტანხორცის რეალიზაცია.

14. ცხოველების იძულებით დაკვლა დასაშვებია მხოლოდ უფლებამოსილი ორგანოს უფლებამოსილი პირის თანხმობით.

15. იძულებით დაკვლული ცხოველის ხორცისა და დაკვლის სხვა პროდუქტების გამოშვება საკვები მიზნებისათვის, მათ შორის – საზოგადოებრივი კვების ქსელში, უმი სახით, დაუშვებელია.

16. ყველა სახის ცხოველის (ფრინველის) ხორცი და სუბპროდუქტი ექვემდებარება სავალდებულო დადამდვას ვეტერინარული დამღებითა და შტამპებით, კანონმდებლობით დადგენილი წესის მოთხოვნების შესაბამისად.

17. ხორცის დადაღმვა ხდება მხოლოდ ვეტერინარული შემოწმების შემდეგ. ხორცის დასადამდად გამოიყენება საღებავი, რომელიც ნებადართულია მოქმედი კანონმდებლობით.

18. დაუშვებელია დაუმდაღავი ხორცისა და ხორცპროდუქტების რეალიზაცია.

19. მეცხოველეობის წედლეულის დამზადება და გადამუშავება დასაშვებია მხოლოდ ცხოველების გადამდები სნეულებების მიმართ კეთილსაიმედო ზონებში.

20. დაუშვებელია ჯილების, ემფიზემური კარბუნკულის, თურქულის, მსხვილფეხა პირუტყვის ჭირისა და ყვავილის მიმართ არავეთილსაიმედო კერებში ყველა სახის მეცხოველეობის წედლეულის დამზადება.

21. საწარმოს ან სხვა ტერიტორიაზე, სადაც ხორციელდება ცხოველის დაკვლა, აუცილებელია ჩამდინარე წყლების გაუვნებლობა.

22. ცხოველების ისეთი მწვავე ინფექციური დაავადებების აღმოჩენისას, როდესაც მათი სახორცედ დაკვლა დაუშვებელია (ჯილები, ემფიზემური კარბუნკული, ავთვისებიანი შეშუპება, ცოფი, ქოთაო, მსხვილფეხა პირუტყვის ჭირი, ტეტანუსი, ბოტულიზმი, ბრადზოტი და ა.შ.), დაკვლის პროცესი უნდა შეწყდეს. ასეთი ცხოველის ტანხორცი, შინაგანი ორგანოები და ტყავი ექვემდებარება განადგურებას უფლებამოსილი ორგანოს უფლებამოსილი პირის ზედამხედველობის ქვეშ.

23. ცხოველური წარმოშობის პროდუქტების გადამამუშავებელ საწარმოში ხორცი შეტანილი უნდა იქნეს მხოლოდ სასაკლაოებიდან შესაბამისი ვეტერინარული მოწმობის თანხლებით.

24. რძის გადამამუშავებელ საწარმოში წერილი ნედლეული (რძე), შეტანილი უნდა იქნეს ვეტერინარულ-სანიტარიული წესების დაცვით ცხოველთა გადამდები სნეულებების მხრივ კეთილსაიმედო კერიდან.

25. დაუშვებელია რძის შეტანა საწარმოში იმ სადგომიდან, სადაც აღმოჩენილია შემდეგი ინფექციური დაავადების: ჯილები, ემფიზემური კარბუნკული, ცოფი, პარატუბერკულოზი, ყვავილი, ავთვისებიანი კატარული ცხელება, ლეპტოსპიროზი, თურქული, ფილტვების მმსურავი ანთება, ქუ-ცხელება, ცურის ნეკრობაქტერიოზი და აქტინომიკოზი, სალმონელოზი, ენდომეტრიტი, მასტიტი, ტუბერკულოზი, ბრუცელოზი.

26. დაუშვებელია პირუტყვის მოგებიდან 7 დღეზე ადრე და ლაქტაციის დაწყებიდან 7 დღის განმავლობაში მიღებული რძის (ხსენის) გადამამუშავებელ საწარმოში მიღება.

27. სურსათად/სასურსათო წედლეულად დასაშვებია მხოლოდ ფრინველის ინფექციური დაავადებების მხრივ კეთილსაიმედო კერაში დამზადებული კვერცხის გამოყენება ( ქათამი, ინდაური, ციცარი, მწყერი, იხვის და ბატის კვერცხი და სხვა).

28. იხვისა და ბატის კვერცხის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ პურსაცხობ და საკონდიტრო საწარმოებში თერმული დამუშავებით.

29. თაფლის რეალიზაცია დასაშვებია ფუტკრის ინფექციური დაავადებების მხრივ კეთილსაიმედო კერიდან.

30. საწარმოში ვეტერინარულ-სანიტარიული უსაფრთხოების წესების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება საწარმოს.

## მუხლი 5. მოთხოვნები შემნახველი საწარმოებისადმი (სამრეწველო მაცივრები)

1. სამრეწველო მაცივარში შესანახად დასაშვებია მხოლოდ კეთილსაიმედო ცხოველური წარმოშობის პროდუქციის შენახვა.

2. დაუშვებელია გაგრილებული, გაციებული და გაყინული ხორცის, ხორცისა და ხორცის მზა ნაწარმის, ხორცისა და ცხოველური წარმოშობის ტექნიკური პროდუქტის (ტყავის, ძვლებისა და სხვა პროდუქტის), ხორცისა და რძის პროდუქტის, ხორცის, ხორცპროდუქტისა და მცენარეული წარმოშობის პროდუქტის, სპეციფიკური სუნის მქონე ხორცისა და ხორცის, რომელსაც ამ ნიშნის მიხედვით გადახრა არ აქვს, ჯანმრთელი ცხოველისაგან მიღებული ხორცისა და ავადმყოფი ცხოველის გადამუშავების შედეგად მიღებული ხორცის ერთი სატრანსპორტო საშუალებით ტრანსპორტირება და ერთ სამაცივრო კამერაში შენახვა.

3. ხორცის გაყინვით გაუვნებლობისათვის გამოყენებული უნდა იქნეს იზოლირებული კამერა ან ჩამოსაკიდი ხაზი, რომელზედაც განხორციელდება მონიტორინგი და ზედამხედველობა.

4. არადამაკმაყოფილებელი ორგანოლეპტიკური თვისებების მქონე ცხოველური წარმოშობის პროდუქციის გამოყენება, მათი შენახვის ვადების და პირობების განსაზღვრა ხდება მხოლოდ ლაბორატორიული გამოკვლევების საფუძველზე.

5. სამრეწველო მაცივრიდან გატანის წინ ხორცი და ხორცპროდუქტები ექვემდებარება შერჩევით შემოწმებას ვეტერინარი ექიმის მიერ.

#### **მუხლი 6. მოთხოვნები ცხოველების, ცხოველური წარმოშობის პროდუქციისა და მეცხოველეობის ნედლეულის რეალიზაციისადმი**

1. ცხოველები, ცხოველური წარმოშობის პროდუქცია და მეცხოველეობის ნედლეული სარეალიზაციოდ დაიშვება ვეტერინარულ-სანიტარიული კეთილსამედობის დადგენის შემდეგ.

2. დაუშვებელია შეუმოწმებელი, დაუდამლავი და დაწუნებული პროდუქციის რეალიზაცია.

3. სარეალიზაციოდ დაიშვება ცხოველები, ცხოველური წარმოშობის პროდუქცია და მეცხოველეობის ნედლეული, თუ მას ახლავს შესაბამისი ვეტერინარული მოწმობა.

4. სარეალიზაციო ობიექტებში:

ა) დაცული უნდა იქნეს ცოცხალ ცხოველთა და ფრინველთა ვაჭრობის ვეტერინარულ-სანიტარიული წესები და ცხოველური წარმოშობის სასურსათო ნედლეულის/პროდუქტების განლაგების ვეტერინარულ-სანიტარიული ნორმები და ვაჭრობის წესები;

ბ) უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მაცივრების, მაცივარ-იზოლატორებისა და შემნახველი საკნების არსებობა.

5. პირობით ვარგისი ან/და დაწუნებული ცხოველური წარმოშობის პროდუქციისა და მეცხოველეობის ნედლეულის გაუვნებლობასა და განადგურებაზე, ასევე, მე-6 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება საწარმოს.

#### **მუხლი 7. მოთხოვნები ცხოველთა გადარეკვა - გადაყვანის დროს (მათ შორის საზაფხულო და ზამთრის საძოვრებზე)**

1. საქართველოში ცხოველების გადარეკვა სეზონურ საძოვრებზე წარმოებს უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით დადგენილ ვადებსა და დადგენილი წესით.

2. უფლებამოსილი ორგანო ცხოველების გადარეკვის დაწყების წინ ორგანიზებას უკეთებს:

ა) გადასარეკი ცხოველების სულადობის კლინიკურ შემოწმებას გადამდები სნეულებების მიმართ კეთილსამედოობაზე;

ბ) გადასარეკი ტრასების მიმდებარე ტერიტორიების შემოწმებას გადამდები სნეულებების მიმართ კეთილსამედოობაზე.

3. ცხოველების გადარეკვის პერიოდში გადასარეკი ტრასა უნდა გათავისუფლდეს ყველა სახის სხვა ცხოველებისაგან, მოეწყოს ცხოველთა დასასვენებელი მოედნები და წესრიგში იქნეს მოყვანილი დასარწყულებელი ადგილები.

4. ცხოველების გადარეკვის დაწყებამდე უზრუნველყოფილ უნდა იქნეს გადასარეკი ტრასის მიმდებარე ტერიტორიაზე ცხოველების გადამდები სნეულებების საწინააღმდეგო გეგმური ვაქცინაცია, ბრუცელოზზე სეროლოგიური გამოკვლევა და ტუბერკულინიზაცია.

5. დაუშვებელია ზაფხულის და ზამთრის საძოვრებზე თურქულზე, ბრუცელოზზე და ტუბერკულოზზე არაკეთილსამედო კერებიდან ცხოველების გადარეკვა.

6. დაუშვებელია ვეტერინარული მოწმობის გარეშე ცხოველების გადარეკვა-გადაყვანა სეზონურ საძოვრებზე.

7. უფლებამოსილი ორგანო სეზონურ საძოვრებზე ატარებს მომთაბარე პირუტყვის პერიოდულ მონიტორინგს გადამდები სნეულებების დროულად აღმოჩენისა და საწინააღმდეგო ღონისძიებების დასახვის მიზნით.

8. დაავადებული ცხოველების გზაში დაკვლა აკრძალულია.

#### **მუხლი 8. მოთხოვნები ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთების გადაზიდვების დროს**

1. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთის გადაზიდვა დაუშვებელია, თუ იგი საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეპიზოოტიურ კეთილსამედობას და მომხმარებელთა ჯანმრთელობას.

2. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთის (გარდა ქარხნული წესით გადამუშავებული ცხოველური წარმოშობის პროდუქციისა და მეცხოველეობის ნედლეულისა) საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილება დასაშვებია შესაბამისი ვეტერინარული მოწმობის თანხლებით.

3. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ცხოველთა გადაყვანა, ცხოველური წარმოშობის პროდუქციის, მეცხოველეობის ნედლეულის გადაზიდვა ნებადართულია მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც ხორციელდება ვეტერინარული კონტროლი.

4. ცხოველების, მეცხოველეობის ნედლეულისა და პროდუქტების, ცხოველთა საკვების იმპორტი ნებადართულია მხოლოდ ექსპორტიორი ქვეყნის უფლებამოსილი სამსახურის მიერ გაცემული სერტიფიკატის საფუძველზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ვეტერინარულ-სანიტარიულ მოთხოვნებს.

5. სახელმწიფო ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთის ექსპორტი საქართველოდან ხდება შესაბამისი სამსახურების მიერ გაცემული ვეტერინარული სერტიფიკატით, რომლითაც დასტურდება იმპორტიორი ქვეყნის ვეტერინარული მოთხოვნების შესრულება.

6. საქართველოში იმპორტირებული ცხოველები, ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის გავლის შემდგომ, დანიშნულების ადგილებში ექვემდებარება სავალდებულო კარანტინს.

7. ცხოველების, მეცხოველეობის ნედლეულისა და პროდუქტების გადაზიდვის შემდეგ სატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება ვეტერინარულ-სანიტარიულ დამუშავებას.

#### **მუხლი 9.მოთხოვნები ხორცისა და ხორცპროდუქტების გაუვნებლობისას**

1. გაუვნებლობას ექვემდებარება ხორცი და ხორცის პროდუქტები, რომლების რეალიზაცია დაუშვებელია წინასწარი დამუშავების გარეშე.

2. დაუშვებელია იმ ხორცისა და ხორცპროდუქტების მეპატრონისათვის დაბრუნება, რომლის გამოყენება სურსათად ან სასურსათო ნედლეულად დასაშვებია გაუვნებლობის შემდეგ.

3. ხორცსა და ხორცპროდუქტების გაუვნებლეობა ხდება ხარშვით, გაყინვითა და დამარილებით, ხოლო შინაგან ცხიმისა და შპიკის გადადნობით.

4. ცისტიცერკოზის დროს ხორცის გაუვნებლეობა ხდება გაყინვით. ასეთი ხორცის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ლივერულ ძეხვეულ ნაწარმში ან ფარშიანი კონსერვების წარმოებისათვის.

5. ხორცისა და ხორცპროდუქტების გასაუვნებელი სამუშაოების დასრულების შემდეგ სათავსებს, მოწყობილობებს, ინვენტარს უნდა ჩაუტარდეს დეზინფექცია.